

h-981

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გზიური ჩეივაპე

ათონი ფუნცელაპის აუკლიცისტიკა

10.01.10 – ქურნალისტიკა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა 3 ტ რ ე ვ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

ცისტიკის ცალკეულ შეცდომებზე და ახსნილია მათი მიზეზები.

ანტონ ფურცელაძის პუბლიცისტიკის პალევამ საშუალება მოგვცა კრებულის („ანტონ ფურცელაძის პუბლიცისტური წერილები” – 640 გვერდი) გამოცემისა, რომელიც, არ არის გამორიცხული, ქართული საზოგადოებრივი აზრისა და ურნალისტიკის მკლევართა სამაგიდო წიგნად იქცეს.

ინფორმაცია ნაშრომის პრობაციაზე: ნაშრომი განხილულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარული ფაკულტეტის პუბლიცისტიკის სასწავლო-კვლევითი ცენტრის 2005 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №2, რეცენზენტი ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დიანა ტყებუჩავა). სათანადო მსჯელობის შემდეგ საკვალიფიკაციო ნაშრომის ავტორს რეკომენდაცია მიეცა საძიებელი სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ნაშრომის ცალკეული თავები და ქვეთავები გამოქვეყნებულია სამეცნიერო ურნალში „ურნალისტური მიუბანი”.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს ქმნილურზე ნაბეჭდ 139 გვერდს. ის შედგება წინასიტყვაობის, ცხრა თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

ნაშრომის მირითადი შინაარსი

შესავალში გამოკვეთილია შესასწავლი საკითხის აქტუალობა და ხაზგასმულია მისი მნიშვნელობა, განსაზღვრულია სადისერტაციო ნაშრომის მიზანი და საგანი, ნაჩვენებია მეცნიერული სიახლე.

თავი I. ანტონ ფურცელაძის შემოქმედებითი გზა – გადმოცემულია პუბლიცისტის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი ეტაპები, ხაზგასმულია ის დიდი როლი, რაც მან შეასრულა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თავი II. ანტონ ფურცელაძე პუბლიცისტიკის როლი – და მნიშვნელობის შესახებ – აღნიშნულ თავში ხაზგასმულია, რომ ანტონ ფურცელაძე როგორც შურნალისტი, ფაქტებთა ფიქსაციით, კომენტარებით და ანალიზით მიმდინარე ცხოვრების საქმაოდ ნათელ სურათს ქმნის; იყენებს ნაირგვარ ურნალისტურ ხერხს; ცდილობს გააფართოვოს ფელეტონის შინაარსობრივი არეალი; გაამახვილოს სატირული მხარე – მარჯვედ დაუკავშიროს ეროვნულ და სოციალურ მოვლენებს. მისი პუბლიცისტური წერილები გამოირჩევა დამაჯერებელი მსჯელობით. მკითხველი საზოგადოების დარწმუნების მიზნით არ ერიდება ფაქტების გაშიშვლებას. სამსჯავროზე გამოაქვს ურნალისტური საქმიანობოს ავიც და კარგიც. კრიტიკულია როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართ. ზოგჯერ გადაჭარბებულ სიმკაცრესაც იჩენს.

თავი III. ეროვნული საკითხები – ანტონ ფურცელაძე თავის სოციალურ-პოლიტიკურ მრწამს შეიძლოდ უკავშირებდა ეროვნულ პრინციპს. შეურიგებლად იძრძოდა როგორც სოციალური, ასევე ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ცხხოვ ქაფნის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლით დაინტერესება – ეს იყო მშობელი ქვეწნის განმათავისუფლებელი იდეებით შთაგონებული საზოგადო მოღვაწის კეთილშობილური გატაცება. არაერთი სტატია უძღვნა ჯუზებები გარიბადდის თუ ბერძენი ხალხის ბრძოლითი გმირობის მაგალითებს, მაგრამ თავიდათავი მაინც ქართველთ ისტორიაა. ამ მიზნით იქმნება ისტორიული თხზულებები: „დიდი მოურავი”, „თამარ დაზნელი”, „მარაბდა”, „იაუზ უენი და ბარათაბანი.”

ეროვნული პრობლემების თეორიულად გადაწყვეტის კარგი მცდელობაა სტატია „კაცობრიობა და ხალხოსნობა”, რომელშიც ავტორი ვრცლად საუბრობს პატრიოტიზმის არსებები, მისი აღმოცენებისა და განვითრების სტადიუმზე.

ცნობილია მისი პატივისცემა მაქმადიანებისა და სომხებისადმი. პუბლიცისტი მოსურნეა ქართველებისა და სომხების ურთიერთობის კიდევ უფრო გამყარება-განმტკიცებისა.